საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №386
2019 წლის 6 მარტი

ქ. თბილისი

„2019 წლისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სტაჟიორების (ანაზღაურებადი) რაოდენობისა და მათი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 21 იანვრის №375 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„2019 წლისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სტაჟიორების (ანაზღაურებადი) რაოდენობისა და მათი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 21 იანვრის №375 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 22/01/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240030.22.027.016875) პირველი პუნქტის:

ა) „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ – რაოდენობა 15 ერთეულით, ანაზღაურების ოდენობა – თვეში 400 ლარით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**